საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 2 თებერვლის

დადგენილება №1904

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 დეკემბრის
№1828 დადგენილების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 დეკემბრის №1828 დადგენილებაში და დადგენილების II პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „II. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად მოხდეს მათი შრომის ანაზღაურება, თითოეული არჩევნების ჩატარებისათვის, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე